სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 ივნისის „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (თეორიული ეკონომიკის, მაკროეკონომიკის, მიკროეკონომიკის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომეტრიკის, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრები) პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ №149/2016 დადგენილების მეორე პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

## ოქმი (შემაჯამებელი) №8

ქ. თბილისი 25 ივლისი, 2018 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:** ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი (თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი ლ. ბახტაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი გ. ერქომაიშვილი (მდივანი), ასოცირებული პროფესორი თ. ზუბიაშვილი, ასოცირებული პროფესორი მ. ჩიქობავა, ასოცირებული პროფესორი ნ. მიქიაშვილი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი გ. ბედიანაშვილი. ოქმს თან ერთვის კომისიის სხდომაზე წევრთა გამოცხადების დამადასტურებელი ფურცელი (იხ. დანართი).

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 10 მაისის №109/01-01 და 2018 წლის 10 მაისის №110/01-01 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე - თეორიული ეკონომიკის, მაკროეკონომიკის, მიკროეკონომიკის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომეტრიკის, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრებზე - პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარება და კონკურსის შედეგების შეჯამება.

*კომისიის თავმჯდომარე*
*ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი*

**მოისმინეს:** 1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე თსუ-ის რექტორის 2018 წლის 10 მაისის №109/01-01 და 2018 წლის 10 მაისის №110/01-01 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში - **თეორიული ეკონომიკის კათედრა** (პროფესორი-1 საშტატო ერთეული; ასოცირებული პროფესორი-2 საშტატო ერთეული); **მაკროეკონომიკის კათედრა** (პროფესორი-2 საშტატო ერთეული); **მიკროეკონომიკის კათედრა** (პროფესორი-1 საშტატო ერთეული; ასოცირებული პროფესორი-2 საშტატო ერთეული); **ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა** (პროფესორი-1 საშტატო ერთეული; ასოცირებული პროფესორი-2 საშტატო ერთეული); **ეკონომეტრიკის კათედრა** (პროფესორი-1 საშტატო ერთეული; ასოცირებული პროფესორი-2 საშტატო ერთეული); **ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა** (პროფესორი-1 საშტატო ერთეული; ასოცირებული პროფესორი-3 საშტატო ერთეული); **საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა** (ასოცირებული პროფესორი-2 საშტატო ერთეული) - გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მ. ჩავლეიშვილის ინფორმაცია. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროცედურების შესაბამისად ჩატარდა პრეტენდენტთა შეფასების ორივე ეტაპი. საკონკურსო კომისიის მიერ შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა განხორციელდეს ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრა.

გამოცხადებულ კონკურსში ყველა მიმართულებით მონაწილეობდა 27 კონკურსანტი. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით პრეტენდენტის სტატუსი არ მიენიჭა 1 კონკურსანტს.

კომისიის თავმჯდომარემ, მ. ჩავლეიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ დანართი №1 განსაზღვრული ხმის მიცემის პროცედურა.

თსუ-ში მოქმედი რეგულაციების თანახმად, ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, საკონკურსო კომისიამ მოამზადა ბიულეტენები (თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით, დანართი №5), რომელშიც აისახა შესაბამისი მიმართულების მიხედვით საკონკურსო აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არსებული პრეტენდენტების სახელები და გვარები. ბიულეტენების სისწორე დადასტურდა კომისიის ყველა წევრთა ხელმოწერებით სხდომაზე. დამატებითი ბიულეტენი არ დამზადებულა. საარჩევნო ყუთი ყველა კომისიის წევრის თანდასწრებით დაილუქა და ლუქი დამოწმდა კომისიის წევრთა ხელმოწერებით.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, დალუქული საარჩევნო ყუთი გახსნეს კომისიის წევრებმა და დათვალეს პრეტენდენტთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

**ფარული კენჭისყრის შედეგები:**

**თეორიული ეკონომიკის კათედრა - პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული.**

1. ლეიაშვილი პაატა - მიღებული ხმების რაოდენობა - 0;
2. მექვაბიშვილი ელგუჯა - მიღებული ხმების რაოდენობა - 7.

**დაადგინეს:** თეორიული ეკონომიკის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადდა მექვაბიშვილი ელგუჯა

**თეორიული ეკონომიკის კათედრა - ასოცირებული პროფესორი 2 (ორი) საშტატო ერთეული.**

1. ბალარჯიშვილი ინგა - მიღებული ხმების რაოდენობა - 7;
2. კეპულაძე თამილა - მიღებული ხმების რაოდენობა - 1;
3. ნაცვალაძე მარინე - მიღებული ხმების რაოდენობა - 6.

**დაადგინეს:** თეორიული ეკონომიკის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადნენ:

1. ბალარჯიშვილი ინგა
2. ნაცვალაძე მარინე

**მაკროეკონომიკის კათედრა - პროფესორი 2 (ორი) საშტატო ერთეული.**

1. ტუხაშვილი მირიან - მიღებული ხმების რაოდენობა - 7;
2. ხადური ნოდარ - მიღებული ხმების რაოდენობა - 7.

**დაადგინეს:** მაკროეკონომიკის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადნენ:

1. ტუხაშვილი მირიან
2. ხადური ნოდარ

**მიკროეკონომიკის კათედრა - პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული.**

1. ხარაიშვილი ეთერ - მიღებული ხმების რაოდენობა - 7.

**დაადგინეს:** მიკროეკონომიკის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადდა ხარაიშვილი ეთერი

**მიკროეკონომიკის კათედრა - ასოცირებული პროფესორი 2 (ორი) საშტატო ერთეული.**

1. გაგნიძე ინეზა - მიღებული ხმების რაოდენობა - 7;
2. ნაცვლიშვილი ია - მიღებული ხმების რაოდენობა - 7.

**დაადგინეს:** მიკროეკონომიკის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადნენ:

1. გაგნიძე ინეზა
2. ნაცვლიშვილი ია

**ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა - პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული.**

1. გველესიანი რევაზ - მიღებული ხმების რაოდენობა - 7.

**დაადგინეს:** ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადდა გველესიანი რევაზ

ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა - ასოცირებული პროფესორი 2 (ორი) საშტატო ერთეული.

1. გოგორიშვილი ირინა - მიღებული ხმების რაოდენობა - 6;
2. ლეკაშვილი ეკა - მიღებული ხმების რაოდენობა - 6.

**დაადგინეს:** ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადნენ:

1. გოგორიშვილი ირინა
2. ლეკაშვილი ეკა

ეკონომეტრიკის კათედრა - პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული.

1. ანანიაშვილი იური - მიღებული ხმების რაოდენობა - 7.

**დაადგინეს:** ეკონომეტრიკის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადდა ანანიაშვილი იური

ეკონომეტრიკის კათედრა - ასოცირებული პროფესორი 2 (ორი) საშტატო ერთეული.

1. არსენაშვილი აკაკი - მიღებული ხმების რაოდენობა - 5;
2. თოთლაძე ლია - მიღებული ხმების რაოდენობა - 2;
3. ჯულაყიძე მერაბ - მიღებული ხმების რაოდენობა - 7.

**დაადგინეს:** ეკონომეტრიკის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადნენ:

1. არსენაშვილი აკაკი
2. ჯულაყიძე მერაბ

ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა - პროფესორი 1(ერთი) საშტატო ერთეული.

1. გელაშვილი სიმონ - მიღებული ხმების რაოდენობა - 7.

**დაადგინეს:** ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადდა გელაშვილი სიმონ.

**ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა – ასოცირებული პროფესორი 3 (სამი) საშტატო ერთეული.**

1. აბესაძე ნინო - მიღებული ხმების რაოდენობა -7;
2. მაღლაფერიძე ნიკოლოზ - მიღებული ხმების რაოდენობა - 0;
3. მინდორაშვილი მარინე - მიღებული ხმების რაოდენობა - 6;
4. მუჩიაშვილი მარინა - მიღებული ხმების რაოდენობა - 7;
5. ჩარექიშვილი ლია - მიღებული ხმების რაოდენობა - 1.

**დაადგინეს:** ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადნენ:

1. აბესაძე ნინო
2. მინდორაშვილი მარინე
3. მუჩიაშვილი მარინა

**საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა - ასოცირებული პროფესორი - 2 (ორი) საშტატო ერთეული.**

1. ვეშაპიძე შოთა - მიღებული ხმების რაოდენობა - 7;
2. პაპაჩაშვილი ნინო - მიღებული ხმების რაოდენობა - 0;
3. სეფაშვილი ეკა - მიღებული ხმების რაოდენობა - 7.

**დაადგინეს:** საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადნენ:

1. ვეშაპიძე შოთა
2. სეფაშვილი ეკა

## მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველი

1. **მექვაბიშვილი ელგუჯა** - საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ პრეტენდენტს აქვს ხანგრძლივი პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, ასევე აქტიურად ახორციელებს სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ კურსებთან. გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი პუბლიკაციები და კვლევები მაღალი სამეცნიერო ღირებულებისაა. მრავალმხრივია კონკურსანტის შესახებ წარმოდგენილი დამატებითი საქმიანობა, რომელშიც იკვეთება მისი აქტივობა სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით. გასაუბრების ეტაპზე დასმულ შეკითხვებზე პასუხები იყო დასაბუთებული.

2. **ლეიაშვილი პაატა** - საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტს აქვს ვაკანსიის პროფილთან შესაბამისი კვალიფიკაცია და პედაგოგიური გამოცდილება. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსები ნაწილობრივ შესაბამისობაშია თსუ-ში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ კურსებთან, სასწავლო კურსების სილაბუსების მიზნები, შედეგები, თემატიკა და სავალდებულო ლიტერატურა ნაწილობრივ შეესაბამება თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებს. კონკურსანტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები ადასტურებენ მაღალ სამეცნიერო კვლევის შედეგებს. პრეტენდენტის დამატებითი საქმიანობა სასწავლო პროცესთან მიმართებაში ნაკლებად აქტიურია. გასაუბრების ეტაპზე კონკურსანტმა გამოავლინა წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში დასმული პრობლემატიკის მეცნიერული კვლევის სიღრმისეული ანალიზი. სასწავლო კურსებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე პასუხები იყო დამაკმაყოფილებელი.

3. **ბალარჯიშვილი ინგა** - საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ პრეტენდენტს აქვს პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, ასევე აქტიურად ახორციელებს სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ კურსებთან. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში გამოვლენილია პრობლემატიკის მიმართ ავტორისეული მიდგომები, რომელიც ადასტურებს კვლევის მაღალ პოტენციალს. გასაუბრების ეტაპმა გამოავლინა პრეტენდენტის ანალიტიკური აზროვნების უნარი. დასმულ შეკითხვებზე პასუხები იყო დამაკმაყოფილებელი.

4. **კეპულაძე თამილა** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტს აქვს ვაკანსიის პროფილთან შესაბამისი კვალიფიკაცია, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების ფორმა, მიზნები, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სახელწოდება, შედეგები, სავალდებულო ლიტერატურა არ შეესაბამება თსუ-ში მოქმედ სილაბუსებს. გასაუბრების ეტაპმა გამოავლინა პრეტენდენტის ლოგიკური აზროვნების უნარი, სამეცნიერო ნაშრომთან და კონცეფციასთან დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით კონკურსანტის პასუხები იყო დამაკმაყოფილებელი.

5. **ნაცვალაძე მარინე** - საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ პრეტენდენტს აქვს პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, ასევე აქტიურად ახორციელებს სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ კურსებთან. კონკურსანტის დამატებით საქმიანობასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია აქტიური კომუნიკაცია სტუდენტებთან პროექტების განხორციელების კუთხით. პრეტენდენტმა გასაუბრების ეტაპზე გამოავლინა მსჯელობის და ანალიტიკური აზროვნების უნარი, დასმულ შეკითხვებზე პასუხები იყო დამაკმაყოფილებელი.

6. **ტუხაშვილი მირიან** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ პრეტენდენტს აქვს ხანგრძლივი პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, ასევე ნაყოფიერია მისი სასწავლო-მეთოდური საქმიანობა. აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან, კონკურსანტი ხელმძღვანელობს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან არსებულ მიგრაციის ცენტრს. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ასახავს თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან სრულ შესაბამისობას. მრავალმხრივია კონკურსანტის დამატებითი საქმიანობა, რომელშიც იკვეთება მისი აქტივობა სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით. გასაუბრების ეტაპზე პასუხები დასმულ შეკითხვებზე იყო დასაბუთებული.

7. **ხადური ნოდარ** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ პრეტენდენტს აქვს პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, ასევე აქტიურად ახორციელებს სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ასახავს თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან შესაბამისობას. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი აქტუალურ თემატიკას ეხება. მრავალმხრივია კონკურსანტის შესახებ წარმოდგენილი დამატებითი საქმიანობა, გამოირჩევა მისი აქტივობა სამეცნიერო, სასწავლო და პრაქტიკული მიმართულებით. გასაუბრების ეტაპზე დასმულ შეკითხვებზე პასუხები იყო დასაბუთებული.

8. **ხარაიშვილი ეთერ** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილება, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ასახავს უმაღლესი თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან შესაბამისობას. შესაფასებლად წარმოდგენილი მონოგრაფია გამოირჩევა მაღალი სამეცნიერო ღირებულებით. კვლევით კონცეფციაში ნათლად იკვეთება კვლევის მიზანი, ამოცანები, მიზნები და კვლევის შედეგების მიღებისა და დანერგვის მექანიზმები. კონკურსანტის დამატებითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მრავალმხრივია. გასაუბრების ეტაპზე კონკურსანტის პასუხები დასმულ შეკითხვებზე იყო დასაბუთებული.

9. **გაგნიძე ინეზა** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილება, აქტიურად ახორციელებს სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას. წარმოდგენილი სილაბუსები ასახავს თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან სრულ შესაბამისობას. შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის კვლევის თემატიკა აქტუალურია. კონკურსანტის დამატებით საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობები

მრავალმხრივია. გასაუბრების ეტაპზე  დასმულ შეკითხვებზე  პრეტენდენტის პასუხები იყო დამაკმაყოფილებელი.

10. **ნაცვლიშვილი ია** - კომისიის წევრებმა  აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილება, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. წარმოდგენილი სილაბუსები ასახავს თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან სრულ შესაბამისობას. კონკურსანტის დამატებით საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობები მრავალმხრივია. გამოიკვეთა კონკურსანტის აქტიური მონაწილეობა (მობილობა) გაცვლით პროექტებში. გასაუბრების ეტაპზე დასმულ შეკითხვებზე პასუხები იყო დამაკმაყოფილებელი.

11. **გველესიანი რევაზ** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილება, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა  შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. კონკურსანტის წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისია. ნაყოფიერია პრეტენდენტის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა. შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი არის მაღალი სამეცნიერო ღირებულების.  დამატებითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მრავალმხრივია. პრეტენდენტი ხელმძღვანელობს  ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანულ ინსტიტუტს. გასაუბრებისას დასმულ შეკითხვებზე პრეტენდეტის პასუხები იყო დასაბუთებული.

12. **გოგორიშვილი ირინა** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა აკმაყოფილებს მოთხოვნებს. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსები თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან სრულ შესაბამისობაშია. კონკურსანტის დამატებით საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციით გამოვლინდა აქტიურობა სასწავლო  საქმიანობასთან მიმართებაში. გასაუბრების ეტაპზე დასმულ შეკითხვებზე პრეტენდენტის  პასუხები იყო დამაკმაყოფილებელი.

13. **ლეკაშვილი ეკა** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა შესაბამისია ვაკანსიის პროფილთან.  სასწავლო კურსების სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან. გამოიკვეთა კონკურსანტის  მონაწილეობა გაცვლით პროექტებში. კონკურსანტი აქტიურად თანამშრომლობს ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანულ ინსტიტუტთან. გასაუბრების ეტაპზე დასმულ შეკითხვებზე პრეტენდენტის პასუხები იყო დამაკმაყოფილებელი.

14. **ანანიაშვილი იური**  - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილება, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ასახავს თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან სრულ შესაბამისობაშია. ნაყოფიერია პრეტენდენტის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომის საერთაშორისო აღიარება. კვლევითი კონცეფცია ნათლად წარმოაჩენს კვლევის სამომავლო შედეგებს. კონკურსანტის დამატებითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მრავალმხრივია, როგორც სამეცნიერო, ასევე საგანმანათლებლო მიმართულებით. გასაუბრების ეტაპზე დასმულ შეკითხვებზე პრეტენდენტის პასუხები იყო დასაბუთებული.

15. **არსენაშვილი აკაკი** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი, აკმაყოფილებს მოთხოვნებს. სასწავლო კურსების სილაბუსები თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან სრულ შესაბამისობაშია. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი თეორიულ-მეთოდოლოგიურ ხასიათს ატარებს. დამატებით საქმიანობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სტუდენტებთან სამეცნიერო თანამშრომლობა. გასაუბრების დროს დასმულ შეკითხვებზე კონკურსანტის პასუხები იყო დამაკმაყოფილებელი.

16. **თოთლაძე ლია** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი, შეთავსებითი მუშაობა აკმაყოფილებს მოთხოვნებს. სასწავლო კურსების სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი აქტუალურ თემატიკას ეხება. კონკურსანტმა გასაუბრების დროს გამოავლინა ლოგიკური აზროვნებისა და პროფესიული უნარები. დასმულ შეკითხვებზე კონკურსანტის პასუხები იყო დამაკმაყოფილებელი.

17. **ჯულაყიძე მერაბ** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი, შეთავსებითი მუშაობა აკმაყოფილებს მოთხოვნებს. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, სასწავლო კურსების სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან. შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი აქტუალურ თემატიკას ეხება. დამატებითი საქმიანობიდან ნიშანდობლივია აქტიურობა სასწავლო მიმართულებით. კონკურსანტმა გასაუბრებაზე გამოავლინა პროფესიული უნარ-ჩვევები. დასმულ შეკითხებზე კონკურსანტის პასუხი იყო დამაკმაყოფილებელი.

18. **გელაშვილი სიმონ** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილება, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ასახავს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო კურსებთან შესაბამისობას. ნაყოფიერია პრეტენდენტის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა. კონკურსანტის დამატებითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მრავალმხრივია, როგორც სასწავლო-სამეცნიერო, ასევე, პრაქტიკული მიმართულებით. გამოიკვეთა კონკურსანტის აქტიური თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, ასევე კონკურსანტის მონაწილეობა საგრანტო გაცვლით პროექტებში. გასაუბრების ეტაპზე პრეტენდენტის პასუხები დასმულ შეკითხვებზე იყო დასაბუთებული.

19. **აბესაძე ნინო** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი,

აკმაყოფილებს მოთხოვნებს. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი აქტუალურ თემატიკას ეხება. კონკურსანტის ინფორმაცია დამატებით საქმიანობასთან აქტიურია როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო მიმართულებით. გასაუბრებამ სრულყოფილად გამოავლინა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები. დასმულ შეკითხვებზე პასუხები იყო დამაჯერებელი.

20. **მაღლაფერიძე ნიკოლოზ** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, აკადმიური/სამეცნიერო ხარისხი სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. პედაგოგიური გამოცდილება შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. სასწავლო-მეთოდურ საქმიანობაში წარმოდგენილი ინფორმაცია ნაწილობრივ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად თანაავტორობით წარმოდგენილი ნაშრომი (1998, ინგლისურ ენაზე) ნაკლებად ასახავს ეკონომიკურ ასპექტებს და ნაწილობრივ შესაბამისია პროფილთან. გასაუბრების ეტაპზე პრეტენდენტის პასუხები დასმულ შეკითხვებზე იყო დამაკმაყოფილებელი.

21. **მინდორაშვილი მარინე** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, კურსების სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან. კონკურსანტს აქვს პროფილის შესაბამისი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი აქტუალურია და აქვს მაღალი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება. დამატებითი ინფორმაცია კონკურსანტის საქმიანობასთან დაკავშირებით მრავალმხრივია როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო და პრაქტიკულ მიმართულებებით. გასაუბრების ეტაპზე პრეტენდენტმა გამოავლინა კვლევისა და პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარები. პრეტენდენტის პასუხები დასმულ შეკითხვებზე იყო დასაბუთებული.

22. **მუჩიაშვილი მარინა** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი შეეხება აქტუალურ საკითხს და გააჩნია პრაქტიკული ღირებულება. დამატებით საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მრავალმხრივია. გასაუბრების ეტაპზე პრეტენდენტმა გამოავლინა პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი. პრეტენდენტის პასუხები დასმულ შეკითხვებზე იყო დამაჯერებელი.

23. **ჩარქიშვილი ლია** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი, აკმაყოფილებს მოთხოვნებს. პედაგოგიური გამოცდილება, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა სასწავლო კურსების სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. დამატებით საქმიანობასთან

დაკავშირებული ინფორმაცია ნაკლებად ასახავს სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროსთან კავშირს. საკონკურსო კომისიამ გასაუბრების ეტაპზე გამოავლინა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი. პრეტენდენტის პასუხები დასმულ შეკითხვებზე იყო დამაკმაყოფილებელი.

24. **ვეშაპიძე შოთა** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი შეესაბამება ვაკანციიც პროფილს. პედაგოგიური გამოცდილება, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, სასწავლო კურსების სილაბუსები სრულად შესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღრულ სასწავლო კურსებს. შესაფასებლად წარმოდგენილ ნაშრომს გააჩნია მაღალი მეცნიერული ღირებულება. სამეცნიერო კვლევით კონცეფციაში მკაფიოდაა გამოკვეთილი საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის ძირითადი მიზანი, ამოცანები, განხორციელების ეტაპები, კვლევის რესურსები და მოსალოდნელი შედეგები. დამატებით საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მრავალმხრივია. გასაუბრების ეტაპზე პრეტენდენტმა გამოავლინა პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარები. პრეტენდენტის პასუხები დასმულ შეკითხვებზე იყო დამაჯერებელი.

25. **პაპაჩაშვილი ნინო** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი, აკმაყოფილებს მოთხოვნებს. პედაგოგიური გამოცდილება, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღრულ სასწავლო კურსებთან. შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია სრულად არ ასახავს განხორციელების ეტაპებს, კვლევის რესურსებს, მოსალოდნელ შედეგებს. დამატებით საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მრავალმხრივია. საკონკურსო კომისიამ გასაუბრების ეტაპზე გამოავლინა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები. კონკურსანტის პასუხები დასმულ შეკითხვებზე იყო დამაკმაყოფილებელი.

26. **სეფაშვილი ეკა** - კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის კვალიფიკაცია, განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი, პედაგოგიური გამოცდილება და სასწავლო-მეთოდური საქმიანობა შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა ნაწილობრივ შეესაბამება თსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღრულ სასწავლო კურსებს. სამეცნიერო კონცეფციაში ზოგადად არის ასახული სამომავლო კვლევის მიმართულებები. დამატებითი საქმიანობა მრავალმხრივია. გასაუბრების ეტაპზე პრეტენდენტმა გამოავლინა შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები. კონკურსანტის პასუხები დასმულ შეკითხვებზე იყო დამაკმაყოფილებელი.

**დაადგინეს:** 1.1 საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა იმსჯელა მათ მიერ გაწეული სამუშაოს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის

ჩატარების ერთიან წესთან“ შესაბამისობის შესახებ. დაადგინა, რომ გაწეული სამუშაო განხორციელდა მოქმედ რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში.

1.2 თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებგვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

1.3 თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ დანართი №1-ის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში. კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქუჩა №2 (კორპუსი X ), ოთახი № 310.

კომისიის თავმჯდომარე /ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე /ასოცირებული პროფესორი ლ. ბახტაძე/

კომისიის წევრები /ასოცირებული პროფესორი მ. ჩიქობავა/

/ასოცირებული პროფესორი თ. ზუბიაშვილი/

/ასოცირებული პროფესორი ნ. მიქიაშვილი/

/ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი გ. ბედიანაშვილი/

კომისიის მდივანი /ასოცირებული პროფესორი გ. ერქომაიშვილი/